საქართველოს მთავრობის

დადგენილება №143

2014 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტისა და „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების“ მე-8 მუხლის მე2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 2 ოქტომბრის №412 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

თავი I. ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 1. სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც მოეთხოვებათ სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეებს

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის ყველა საჯარო მოსამსახურეს, გარდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის და სპეციალისტისა, მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გ) საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;

დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I, II, III და IV თავები);

ე) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

ვ) „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილება.

თავი II. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი

მუხლი 2. სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვებათ სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატის (შემდგომში –აპარატი) საჯარო მოსამსახურეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველ მუხლში ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტებისა, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

გ) „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულება;

დ) „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულება;

ე) „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 თებერვლის №57 დადგენილება;

ვ) „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №64 დადგენილება;

ზ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

თ) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

ი) საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;

კ) „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება;

ლ) „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება;

მ) „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება.

მუხლი 3. აპარატის უფროსი

აპარატის უფროსს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე2 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის

სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 4. აპარატის უფროსის მოადგილე

აპარატის უფროსის მოადგილეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე2 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 6 თვის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 5. აპარატის მთავარი სპეციალისტი

აპარატის მთავარ სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე2 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 6. აპარატის უფროსი სპეციალისტი

აპარატის უფროს სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 7. აპარატის სპეციალისტი

აპარატის სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე2 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) საშუალო განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

თავი III. ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური

მუხლი 8. სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველ მუხლში ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტებისა, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“;

გ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

დ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;

ე) საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“;

ვ) საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“.

მუხლი 9. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე8 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 10. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე8 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 6 თვის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 11. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე8 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროს სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე8 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 13. ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე8 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) საშუალო განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

თავი IV. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახური

მუხლი 14. სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვებათ რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს

რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის საჯარო მოსამსახურეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველ მუხლში ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტებისა, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, დამატებით მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“;

გ) საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“;

დ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

ე) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

ვ) „საქართველოს რეგიონალური განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონალური განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილება;

ზ) „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის №297 დადგენილება;

თ) „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 ოქტომბრის №2023 განკარგულება;

ი) საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“;

კ) „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 5 აგვისტოს №2-129 ბრძანება;

ლ) „ვეტერინარულ-სანიტარიული უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 4 ივლისის №2-101 ბრძანება.

მუხლი 15. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი

რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე 14 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 16. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე

რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე14 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 6 თვის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 17. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი

რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის მთავარ სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე14 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 18. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროს სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე14 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 19. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის სპეციალისტი

რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე14 მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა, მოეთხოვება:

ა) საშუალო განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

თავი V. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

მუხლი 20. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე, უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსსა და უფროსის მოადგილეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველ მუხლში ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტებისა, დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“;

ბ) „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულება;

გ) „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის №68 დადგენილება;

დ) „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილება;

ე) „ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 29 ივნისის №571 ბრძანება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხების გარდა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსსა და უფროსის მოადგილეს დამატებით მოეთხოვებათ:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხების გარდა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროს სპეციალისტსა და სპეციალისტს დამატებით მოეთხოვებათ:

ა) საშუალო განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.